

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის  
საბჭოს სხდომის

ოქმი №1

ქ.თელავი

22.06.2018წ

თავმჯდომარეობდა : ა. თხლაშიძე  
სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნინო ელიოზიშვილი, მარეხ  
მგალობლიშვილი, მანია მარკოზაშვილი, ნელი აბეჩხრიშვილი, ელენე ღარიბაშვილი,  
გელა აზიკური, ლევან ლილუაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, გიგა მამუკელაშვილი,  
მალხაზ ყურბანოვი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

1. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილედ წარმოადგინა საბჭოს წევრის ელენე  
ღარიბაშვილის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა აღნიშნეს რომ ელენე ღარიბაშვილის  
კანდიდატურა მისაღებია, იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია  
მრავალწლიანი გამოცდილება ქალთა ორგანიზაციებთან  
თანამშრომლობის კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა სურვილი მორიგ სხდომაზე საბჭოს  
სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ.

საბჭოს წევრებს გადაეცათ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ  
შემუშავებული სამოქმედო გეგმის ნიმუში.

არჩილ თხლაშიძემ წარმოადგინა წინადადება, საბჭოს მორიგი სხდომის  
მიმდინარე წლის, 10 აგვისტოს გამართვის შესახებ.

საქმის წევრებმა მოიწონეს საბჭოს თავმჯდომარის წინადადებები  
გადაწყვიტეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ  
არჩეულ იქნას ელენე ღარიბაშვილი .  
გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართოს 2018  
წლის 10 აგვისტოს.

თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე